

გაზეთის ღირებულება

თვილი და გა- რეშე ადგილებში: მაგზავნიტ	მაგზავნიტით:
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
ერთის თვისა — 1 —	— — — 1 — 75 კ.
საოკე ერთის ნომრისა	— — — 15 კ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში

თბილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამატუნის სახლში.
 თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисѣ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 ქუთაისში — ბ. ქალანდარიანი (სახლიერო სასწავლებელი) და ლ. ლალუასთან ბაგრატიონის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ-

ბეგოვს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდად, მაგრამ, რომლისმე მიზეზისა გამო, არ დაბეჭდა.
 თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.

საკრძალო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მთავრდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება თბილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში (ხანის ქუჩაზე, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში) და

ქუთაისში — ბერასიმე ქალანდარიანი (სახლიერო სასწავლებელი).

ხელ-მოწერის ღირებულება

მან. კაპ.
 ნახევარ წლისა, გაუგზავნილთ — 3 და 50
 თბილისში და სხვაგან, გაუგზავნილთ — 4 მან.

მინც მთელი წლის „პრებულისა“ და ნახევარი წლის (1 ივლისიდან) „დროების“ დაბრუნებას მოინდობებს, იმან ექვსი მან. უნდა გამოგზავნოს „დროებისა“ ან „პრებულისა“ რედაქციის კანტორაში.

შინაარსი

„დროების“ განცხადება. — საქართველო: მუთათის ამბები („დროების“ კორესპონდენცია), — წიგნი რედაქტორთან, — წერილი ამბები. — რუსეთი: წერილი ამბები. — უცხო ქვეყნები: სუფრანგეთი, — ინგლისი, — ბერმანია. — ტელეგრაფები. — ნარევი.

შეტყობი: სხელ-ცხელი ამბები — ა. წერეთლისა.

საქართველო

ქუთაისის ამბები

(„დროების“ კორესპონდენცია)

დღის იქით, უფალო რედაქტორო, ვინც უნდა შემოგფიცოს ჩვენ გაუნათლებლობაზე და უმეცრებაზე, არაფერი არ დაუჯეროთ; გევი ნულარაფრის ნუ გეკნებათ: ჩვენ თავიდან ფეხებამდე განათლებით და ფეხებიდან თავამდე შევედით „ცი-ვი-ლი-ზა-ციაში“.

ფელტონი

სხელ-ცხელი ამბები!

მრთ მოხუცებულ კაცს დაუბრუნდა უცხო ქვეყნიდან სამი ვაჭი-შვილი. ბარეგანის შეხედულობით სამივე ნასწავლსა და განათლებულს ჰგანდა: წვერები, ნიშნათ მისა, რომ სუსტი ხასიათისა და გულ-ჩილი არ არიან ქალებივით, რიგზედ ჰქონდათ გამოშვებული. სხვირი შეკავშული უნაგირივით სათვალეებით, ვითომ და შორს-მხედველი ვართო, სახე ბრძნული და გაბუტული, შუბლის კანი შეკუმხნილი, ნიშნად ღიღის ფიქრებისა, ენა შეკავებული და ხანაშივით შეფერებული, იძულებით დამცინარე სახე... მრთის სიტყვით ღიღ ნასწავლ კაცებს ჰგანდნენ. მოხუცი მამა სამივეთი კმაყოფილი იყო... მრთს ღღეს მოუედილათ მძებს ბასი: არა, ჩემი ხელობა სჯობია არა, ჩემიო და გასარჩევით მიადგენ მამას. მამამ ჰკითხა: შეილებო, ჯერ ის შემატყობინეთ, რა ხელობა ისწავლეთ იმ უცხო ქვეყანაში, რომ იყავით? რა არის თვითთავის თქვენგანის განსაკუთრებით მახელობა და მერე გეტყვით, ვინცა სჯობიანართო? პირველმა უთხრა: მე საეკიმო ნაწილში გა-

როგორც ხშირათ ამბობს „ცივილიზაციის“ მქადაგებელი რუსეთში, უფ. ტურგენევი. თუ არ გჯერათ, ყური მიგდეთ.

ზახსოვთ, რას გწერდი მე თქვენ, სრული ორი წელიწადია მას აქეთ, მრავალსაგანად, როცა იქაური ცხოვრების ოროდღე სურათს გინახავდით? აი რას ვამბობდი მე მაშინ:

„რუსები ამბობენ: ნემცი ისეთი მოხერხებული კაცია, რომ მიიმუნი მოგონაო. არ ვიცი, მართლა მოგონა ნემცი მაიმუნი, თუ არა, და ფიცს ქვეშ რომ ვინმე მითხოს, ვიტყვი: არა მგონია, მეთქი. მაგრამ იმაზე კი მტკიცეთა ვარ დარწმუნებული, რომ ნემცი მოხერხებული და ოსტატი კაცია. ამა ჩვენში ვინ მოიხრებად სასმელების გამოყიდვით ლაზარეოსების დაყენებას? ახრი კი ძალიან უბრალო და სასარგებლოა: როცა კაცი ლაზარეოსს ემსახურება, ის ცოტადღენათ მიიწვალდება, იმას უფრო ჩქარა უძგერს გული, სისხლი მსწრაფლათ მუშაობს, და ამ მიზეზით წუთწუთად უფრო სასტიკია. ნახევარ საათში კაცი ორჯელ-სამჯერ მიიწვალდება და სტაქანს ცოცხალსა, და რამდენჯერაც ქალი გაუღიანებს, პასუხის მაგივრათ, აღღებულად, ნარნარი, ნახი ხმით ევეღრება: Noch einmal, bitte! (მართო კიდევ დამისხიო!)“

ამ საგანზე „მგზავრის წერილების“ აფიცარს და „ძაგუზის“ პუბლიცისტებს ახრი რომ ვკითხოთ, ისინი დაუყონებლივ გვეტყვიან: მე მდაბიურად რომა ესთარგმნოთ, იმასა ნიშნავს, რომ ის ბალი საეცა ქუჭუნა თვალეზიანი ქალებითა. შინდა ერთს ჩაეღვ ხელი, გინდა მეორეს. აი განათლებას რა შეუძლიან. ამ მხრით ჩვენ განათლებით ისე, რომ უკეთესათ განათლება შეუძლებელია... მაგალითად, მოგახსენებ, რომ ჩვენ ბულვარში... მართლა ჯერ ნება მომეცით ორიოდღე სიტყვა ბულვარზედაც მოგახსენოთ. ამას წინათ მე გამოუგზავნე „დროებას“ ერთი

მოხუცი და ისეთი მკურნალობა ვისწავლე, ვინც გინდა მომგვარე სნეული და ძალიან ცრტა ხნის განმავლობაში ისე განვთავისუფლებ, რომ იმან ტყვილი ვეღარა იგრძნოს რაო. მეორემ სთქვა: მე იურისტი ვარ და მისთანა ადვოკატობა ვიციო, რომ თუ გულ განუხრებელი ვინმე მოვიდა ჩემთან, მალე გულს გაუგრილებო. არა გეტყვიანთ რა, სიცხეს აღარ შევაწუხებო, ისე ვახელებთ გაეა-შიშვლებ, რომ წყალში ჩახტომა მოინდომოს, მზათ იყოს. — მესამემ ბრძნულად წამოი-ლულულა: ჩემი სამსახური თვისუფალი სა-მსახური არ არის ამათ სამსახურივითო, იძუ-ლებითი სამსახურიო და ჩემი ხელობაც ის არის, რომ ვეცადო, მდიდრები უკუღმა არ იმარხებოდნენ და ღარიბები წაღმოა... რა ამათ ეს პასუხები დაუსრულეს მამას, მამამ უთხრა: ჩემ დროში მობურთაღს ბურთითა და მოედ-ნით გამოსცილდნენ ხოლომეო და ახლაც წამო-დით, შეილებო, ვაეიდეთ, დაედეგეთ შორა-გზა-ზედ, გამეღვლე-გამომეღვლეებსა ვკითხოთ და ისინი გეტყვიან: თქვენგანში ვინ უკეთესია და უფრო სასარგებლო მამულისათვისო. ღეთან-ხმენ შეილები გამოვიდნენ შარაზე, გაიჩრდნენ და მამამ დაუწყაო გამეღვლე-გამომეღვლეებს კით-ხვა. — მამოიარა ერთმა წვეროსანმა. მაჩერა

ფელტონი, „მოვლად ბედნიერ მხარეზე“, რომელშიაც აწერილი იყო მუთათისის ცხოვრების სიმშვენიერე და სხვათა შორის მუთათისის ბულვარიც. თქვენ მოგახსენებთ, ჭან-ტახისა რა ძალა აქვს და რაების წარმოდგენა შეუძლია. აქი სრულებით არ მოუტყუებები-ვარ მე იმ წყეულ ჭანტახის! წარმოიდგინეთ რომ აქაურ ბულვარში არც ჩინებული ტბა ყოფილა, არც მშვენიერი ნაგები, არც თვალთ-მაქცური ხიდები, არც ერთი და არც მეორე. ჩემ ფანტაზიას ტბის წყალთ ის დახანციანებუ-ლი და დაბეჭული მიწა მიეღო, რომელიც ამას წინათ ტბის გასაკეთებლათ მოთხარეს; ნაგებათ მე დამალ-დამკნარი ფოთლები მო-მჩვენებოდა, ხილებათ — სანახევროთ დანგრე-ული ბოგირები და მუზიკათ ბაყაყების ყაყანი... შეიძლება ამაზე უარესად შეცდეს კაცი?.. მაი თუ ზოგი თქვენი მკითხველებიც შემცდარან ჩემი ბრალით! თუ ასეა, უმდაბლესად ვი-თხოვ მათგან და თქვენგან ქრისტიანულ შენ-დობას და მიტყებას...

შნლა ისევე ბულვარს დაუბრუნდეთ. რაც უფრო ვაკირდები მე ჩვენებურ ცხოვრებას, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენი ხალხი თავისი ხასიათით, ჩვეულებებით და „მოდრე-კლებით“, ერთი სიტყვით, თავისი ტემპერა-მენტით მეტის მეტათ უახლოვდება სამხრე-თელ ხალხებს, იტალიელებს და ფრანცუზებს მაგალითად. მართალია, ღმერთს ჩვენთვის იმათ ნაირი ცხოვრება და განწყობილება არ მიუ-ნიჭებია, მაგრამ ჩვენს სისხლში და სხეულში კი ბევრი ისეთი თესლია, რომელიც ეხლან-დელ ჩვენ ცხოვრებასაც იმ წესით მმართავს და ატარებს, როგორათაც მოძრაობს სამხრე-თელი ხალხი. არცერთ ჩრდილოეთის ქვე-ყანაში თავის დღეშიაც არ მოხერხდება ისეთი საზოგადო ცხოვრება, და საყოველთაო

მოხუცია და შენდობის მოთხოვნის შემდეგ უთხრა, რომ ასეა საქმე და ასეა, ჩამოუთვა-ლა თვითვეულის ხელობა და ჰკითხა: ახლა შენ გვითხარი, რომელი უფრო სასარგებლოა ჩვენის ქვეყნისათვის? წვეროსანმა უფროსზე მიუშვირა ხელი, ბედნიერი მაშინ იქნება ქვეყანა, რომ ამისთანა ბევრი გეყავდესო, არა თუ საზოგადოებისათვის, ჩემთვის საკუ-თრად და ჩემ გვარი მოხელეებისთვისაც აუ-ცილებელი საჭიროა კაციო; თუმც ესენი არა გეტყდნენ, შიშვლით მოგვედებოდით ე. ი. დღეში ოროჯ სადილს ვეღარა ვეპმდითო. შე-ასხა ქება უფროსს ვაჟს და გაიარა თავის-თვის. მამოიარა ლამაზმა ქალმა, შეიყვანეს ისიც სარჩევში. იმან კი საშუალს მოაგლო ხელი ამ სიტყვებით: აი, ყმაწვილი კაცი ამის-თანა უნდაო, თუ ღმერთმა ესენი არ მოგვი-შალო, მაშინ განათლება შემოვა და შეილები მამებს აღარ ემგვანებიაო. ჩაიკისკისა და ჩაიარა თვალეების ჭუტით. — მამოიარა ღიღ-მა და მდიდარმა კაცმა, იმასაც ის კითხვა მისცეს. მდიდრმა კი უნცროსს ქება შეასხა და შეფერებულის სალამით უთხრა: მამულის შეილი შენისთანა უნდა, ამა ჩვენი საიმედო შენა ხარო, თუ შენ არ გამოხდებიყავი მა-შინ სამართალი და უსამართლობა თავბო-

საქმეების საქვეყნოთ განხილვა და მართვა, როგორც ჩვენში. თქვენ, უეჭველია, ენაზედ გადათ ინგლისის მაგალითი. თქვენ იფიქრებთ: ინგლისი ჩრდილოეთის ქვეყანა, მაგრამ იქ საზოგადო ცხოვრება საქვეყნოთ, ყველას თვალწინ წარმოგება. — მს მართალია, მაგრამ ინგლისში საზოგადო ცხოვრება და თავი-სუფლება სწორეთ იმ გვართვე ხარობს, რო-გორც პეტერბურღში ნესვიდა ანანასი. ინგლი-სი თავისუფლების ორანქურვია გახლავთ, მის-თვის აუცილებელათ საჭიროა კარგათ დახშული ჩარდახი, მაგარი დაწათელი შუშებისაგან გამარ-თული, საჭიროა ბუნებრი და ცეცხლის შეკე-თება, ჰაერის ნიადაგი ცელა, გაფრთხილებუ-ლი მოვლა. შამაბისოთ ინგლისის ჰაერი ერთ წამს დაშუშხავდა საზოგადოებრივ ინს-ტინქტს, როგორც პეტერბურღის სიო ერთბა-შათ ბოლოს უღებს ნირნართ აღზრდილს ანანასსა...

სამხრეთის ქვეყნებში საჭირო არაა არც შუშებიანი ჩარდახი, არც საგანგებო სითფო, არც მეტის მეტი მოვლა. აქ უმჯობესი და ქვე-ყნის დამამშვენიებელი მცენარეები ცის ქვეშ, გაშლილ ჰაეზე ხარობენ. ხალხი სახლში მართო ჰამისთვის შედის, ისიც ხანდისხან, ან დასაძინებლათ. მანარჩენს დროს კი მისი ცხოვრება გაშლით წარმოგებს, ღეთის სინათ-ლეში, ჩინებული ხეების ჩრდილში, გამაშხი-არულელები სიოს ბერეთი. აი ამ მიზეზით, იტალიელები გაშლილ ცის ქვეშ იკრიბებიან თავიანთი საზოგადო საქმეების სამართველათ, ფრანცუზები ყავახანების წინ სჯიან ყოველ თავიანთ გარემოებას და ჩვენებურები უწინ-დელ დროს ცაცხების ჩრდილში არიგებდენ თავიანთ საქმეებს და ეხლა ბულვარში აწყო-ბენ თავიანთ პლანებს. ბულვარია ჩვენი საყო-ველდღიო თავისუფალი მიტტიგეი, ჩვენი

ლო შექცეული იქნებოდაო. — ამ გვარად ყვე-ლამ გამეღვლე-გამომეღვლემა ხან ერთი აქო და ხან მეორე, და მისთანა არაინგ გამოჩნდა, რომ სამივე ერთად ექოს. ბოლოს შეხვდათ ერთი საწყალი კაცი, რომელსაც სამივე თანასწორად მოეწონა. მახარებულმა მამამ ჰკითხა: რა კა-ცი ხარ მაგისთანაო? მეს კაცი ვარო, მიუგო საწყალმა, რომ იმ დღეს თუ მოეცნარო, რი-დესაც თვითთავის კაცს იმას მიანიჭებენ, რი-სიც ღირსია, მაშინ ეგ ყმაწვილები და მაგათი მსგავსი პირები ჩემს საქონელს გამასალებინებენო! შეითხარი მაინც რა ხელობის კაცი ხარო? თოკის გამოყიდვლიო! და ესეც დამატა: მგონია, ჩემი საქმე საიმედოთ წაიდეგს, რომ ორიოდღე მაგათი ამხანაგები არ მიშლიდენ ხელსაო!... მხ!... შენ დასაწავეო ლიტერატუ-რაო!

მრთი დარბასიელი კაცი ძალიან გაჯგერე-ბული მივიდა ცოლ-შვილში და სიამოვნებით სთქვა: მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს მამულს საიმედო შეილები გამოეზარდაო: ორიოდღე მისთანები გეყავდნენ დღემდის, რომ რასაც ცუდს დაინახავდნენ, მაშინვე იყვირებდნენ, თე-თის თეთრს ეძახოდნენ და შავს შავსაო, მა-შინ ოდესაც ჰკვიანმა და დარბასიელმა კაცმა

საბჭო, ან, როგორც ამ სიტყვას ევროპელები უძახიან, ჩვენა პარლამენტი....

წარმოდგინეთ ეს, რომ ამ ჩვენ საბჭოში, ერთ კუთხეს, გაუმართავთ სწორეთ იმგვარი კარავი, რომელიც მე ავიწყრეთ ჭრანკ-ჭურჭში. შიგ დაუსვამთ ერთი ჟუჟუნ თვალღებანი ქალი, რომელიც ეს ხანს შეადგენს ჩვენ საბჭოში მუსაიდის საგანს. წარმოდგინეთ კიდევ, რომ ამ პაწაწა ქალს ჩვენში სწორეთ იმ გვართვე უკავია თავი, როგორც საფრანგეთის საბჭოში პაწაწინა ტიერს (თქვენ ხომ გეცოდინებათ, რომ ტიერი დაბალ-დაბალი, რველათ ჩასუქებული, ჩაფურთხებული, პირმცინარა და ჟუჟუნა თვალღებანი კაცია). ტიერსავით ის ცდილობს დაამკაფილოს ყველა პარტიები: ერთნაირივე ღიმილით უსხამს ის გამაგრებულ წყალს როგორც მტერთა გადაქცეულ, საიქიოდგან მოსულ შამპორებს, ისე უკანასკნელ მოდაზე მორთულ, თბილი ადგილების და საესე ჯიბეების პატრონ მრღინანტებს, ისე ჩამოწულათ მორთულ, მუდამ ჯანმრთელ, დაუცხრომელ, და იმედით საესე რესპუბლიკელებს... შევლას ეს ქალი თავიანთ მომხრეთ მიანჩია; ის ყველას აიძვლებს, ყველას უციონის, და მგონია, ყველას ერთნაირათ ჩუმჩუმათ, თავის გულში, დასცინის, როცა მათ შაურანებს თავის კარავის უჯრაში ავროებს. საბჭოში ამ გვარი მოქმედება ხშირია, და თქვენ კარგათ მოგვხსენებათ, რომ საზოგადოებაში მხოლოდ ამისთანა მოქმედება ამოღებს და აბედნიერებს კაცს.

მხლა თქვენ, რასაკვირველია, დარწმუნებულნი იქნებით, რომ მე შემცდარი არ ვყოფილვარ ჩვენ განათლებასზე ლაპარაკი რომ ჩამოგოდეთ: განათლება ამაზე უკეთესი იქნება! ჟუჟუნა თვალღებანი ქალი ეიშოვეთ, საბჭო გაუმართეთ და ტიერიც თავანსაცემელათ გაეჩინეთ. ამასაც თუ არ დაჯერდებით, თქვენ კაცი ევლარას გკადრებს: მაინც და მაინც პერიკის გამართვას ხომ არ მოსთხოვთ ამ ჩვენ მუთისს, თქვენ დალოცვილი!

ის გახლავს უმთავრესი ჩვენი „საზოგადო ამბავი.“ მხლა სხვებზე მოვილაპარაკოთ.

შეველია, თქვენ ყურს მოჰკრავდით აქაურ პროცესებზე ლაპარაკს. შევლავ უფრო შესძრა მუთისი და მისი საზოგადოებაში ყველაზე უფრო სჯა და ბასი მოახდინა ერთმა მართლა შესანიშნავმა პროცესმა, რომელშიაც დოქტორი იუხნოვიჩის ცოლი უჩივოდა აქაური გიმნაზიის ინსპექტორს, უფ. სტოიანოვის, გაუპატიურებაზე. აი ამ სა-

ქმის გარემოებები, იმ სახით, როგორც აღმოჩნდა მუთისის საქალაქო მომხრებელ მოსამართლის წინ. იუხნოვიჩის ცოლი მოდიოდა თურმე ერთხელ პირველ მუთისის ქუჩაზე; იმას მისი ვაჟი ახლდა, რომელიც მუთისის გიმნაზიაში დაიარება, მაგრამ იმ ქვამთვანსიების გამო დათხოვლი იყო. ამ ქვამწილს წამოეწია ერთი ახალგაზდა კაცი, რომელმაც იმას ქუდი მოგლიჯა, გულმოსულათ უთხრა, ქუდს რატომ არ მიხედა, განა არ იცი, რომ მე ინსპექტორი ვარ, სტოიანოვი? რაკი უფ. სტოიანოვი ბავშვს ქუდის დანებებას არ უპირებდა, იუხნოვიჩის ცოლმა უთხრა, რომ ეს ბავშვი მე მახლავს, ის ჩემი შვილია; და თუ ქუდის მოუხდელია დანაშაულობაა, შემდეგში გიმნაზიაში დაიბარეთ და იქ დასაჯეთ, როგორც რიგი იყო. უფ. სტოიანოვი ამით არ დაკმაყოფილდა, და ლაპარაკში იმან ჯოხიც იხმარა. მოსამართლის წინ იმან თქვა, რომ იმ ქვამთვანსიების ბრძანებით რამდენიმე გიმნაზიელებს მიეყვებოდი, სასიერნოთა, და ამის გამო მაშინდელი ჩემი მოქმედება სამსახურათ უნდა ჩითვალოს, მაშასადამე მე თქვენ ვერ გამოსამართლებთ, რადგანც სამსახურის დროს ჩადენილის მსაჯული ჩემი პირდაპირი უფროსები არიან. მსაჯულიც ამ აზრის გახდა, და იუხნოვიჩის ცოლს უარი ეთქვა მის საჩივარზე.

ამ გადაწყვეტილებაში, რასაკვირველია, ვერ დაკმაყოფილა იუხნოვიჩის ცოლი, რომელმაც საჩივარი აქაურ ოლქის სასამართლოში გადაიტანა. საჩივარში სხვათა შორის ისა მოხსენებული, რომ უფ. სტოიანოვს არ ეტყობოდა მისი ინსპექტორობა, ბავშვები იმას არ ახლდა, და ქუჩაში ყურის გდება ბავშვებისა მის თანამდებობაში არ შედის. ამ საგანზე აქ დიდი სჯაა, დიდი უკმაყოფილება. სასამართლოში, გასამართლების დროს, ყველა თურმე იმას ამბობდა, რომ დღეს ერთი გაუპატიურება, ხელ ჩვენ გაგვუპატიურებსო, უმიზნოთ და უსაფუძვლოთა, და მერე წადი, სდიე მის უფროსებთანო. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს საქმე, რომელიც მეტის-მეტათ შესანიშნავია როგორც იურიდიული, ვგრეთვე საზოგადო მხრით, მალე გადაწყდება საზოგადო საქმაყოფილოთ...

ამ მოკლე ხანში გამოიარა აქ ზღვის მინისტრმა, პრაბებმ. თქვენ იწერებთ, რომ უფ. მილიუტინიც აპირებს გამოვლასო, და რუსულ გაზეთებში პირდაპირ სწერენ, რომ ამ მოგზაურებს მიზეზათ შივი ზღვის ფლოტის და გამაგრების თაობა არისო. აქ ეს საქმეც

ბევრს ესმის, მაგრამ ყველას ჰგონია, რომ აწრაღა გვიშავს, გავეკეთდებითო, ფლოტს ბევრი რამ დასჭირდება და ჩვენში აღებ-მიცემა გამრავლდება. ეს, თუ გნებავთ, მართალიც არის, მაგრამ ჩვენი უმეტრება ამ საგანში იმოდენაა, რომ ნახათ, აბა, თუ შეგვეძლება ჩვენ ჩვენი სიმდიდრით და ყოფა-ცხოვრებით სარგებლობა ამ შემთხვევაშიაც. წარმოდგინეთ, რომ მუთისის გუბერნიაში არც ერთი ზავი არ არის გამართული, ხეირიანი, რომელსაც მიზნათ ხეების და ფიცრების დამზადება ჰქონდეს, გასაზიდველათ. ტყეს კაცი არ უღელს. მისდგებიან დიდ უმეცლებელ ტყეს, და ამოკაფვენ მთლათ ერთიანათ ისე, რომ ერთი ფიცრის გულისთვის მთელ ხეს სჭრიან, რომელშიაც იქნება ათი, ოცი და ორმოცი ფიცარი გამოსულიყო, ხეირიანი მსარგებლის ხელში. მთელ ტყეს ისე გააოხრებენ, რომ თუთხმეტ-წლის განმავლობაში მისი სარგებლობა შეუძლებელი შეიქნება. აქ ჯერ არცერთ მებატრონეს არა აქვს ხეირიანათ დაყოფილი ტყე, ისე როგორც განათლებულ ქვეყნებში შერებიან, სადაც მთელ ტყეს თუთხმეტ ან ოც ან ორმოც ნაწილათ ყოფენ, და თითო წელიწადში მართო ერთ ნაწილს ხმარობენ ასე, რომ, როცა უკანასკნელ ნაწილს სჭრიან, პირველი ნაწილი ხელახლად გახდის და მოსაჭრელათ მზათ არის. ამას ვინ დასდევს, ვისა აქვს ფიქრში ხვალისდელი დღე, შეიღების ბედი—მე რომ არ ვიქნები, ყველაფერი შეგ წყალმა წაიღოსო.“

მეორე გარემოება, ჩვენში ჯერ-ჯერობით არაიენ თითქმის არ სარგებლობს ხეირიანათ იმ გრანიტის ქვით, რომელიც ესლა მეტის-მეტათ ძვირფას საქონელს შეადგენს, სხვა და სხვა სიმარგებლის და ქალაქების გაშენების დროს. ჩვენში უბრალო ქვას ლალუმებით ამტარებენ, და ისე უთავბოლოთ, ზოგ წვრილს და ზოგ სხვილს ნაჭრებს ზიდვენ. ახლო მისათანათ და სახმარებლათ მართლა ასე სჯობია. მაგრამ როცა დასჭირდება შორს ქვის გადატანა, მაშინ აუცილებლათ საჭირო იქნება დიდი ქვების მოჭრა და დახერხება. და ამ საქმისთვის არცერთი სახერხევი არაიენ დაუმზადებია, არც ქვა დაუმარაგებია, რას ვამბობ, არც არაიენ აქვს აზრში მისი დამარაგება... შეველია, რომ როცა სიმარგებლის გაშენებას მისდგებიან, შივი ზღვის პირს, ან ეთქვათ შოთში, ქვას ტრაპიზონის მთებიდან მოიტანენ და ჩვენ კი ხელცარიელები დარჩებით, როგორც ყოველთვის. მე შოთში კიდევ ენახე ერთი ქვითკირის ორ-ტაქიანი სახლი, რომლის ქვა მთლათ ერთიანათ ტრა-

პიზონიდან მოუტანია მის ამშენებელს, უფ. ავერინოს. საჯავახოში კი, როგორც პირველად სუფსაზე, ბურიაში, გრანტის და ქუჩის ქვა რჩება გამოუყენებელი, თუმც იქიდან მისი შოთს წადება ისე ძვირათ არ დაჯდება, როგორც ტრაპიზონიდან მოტანა. შუთა ეს, მაშ რა დარღუბალაა!..

მთ უკანასკნელ ამბავს კიდევ მოგწერ. თქვენ კარგათ იცით (შარშანდელ „ლორები-დგან“), რომ მუთისის რკინის გზა შეიდგერს-ზე ასცილდა და მუთისელებს ეს როდი ეკაწინათ. მხლა აქ ზოგიერთები ლაპარაკობდენ, ვითხოვოთ, იქნება ხელახლად აქ გამოგვიყვანონ გზაო! მხონენა, რასაკვირველია, საძრახისი არ არის, მაგრამ ყოველივერს თავისი დრო აქვს, და ეს კი ჩვენ არ გვესმის. ეს ერთი; მეორეც ის, რომ არც მართო თხოვნით გარიგდება რამე: როცა გზის მკეთებლები ამბობდენ, მუთისში გზის გადგება ძვირათ დაჯდებაო, მუთისის შევიძლო ვითხოვა, რომ რაც მეტი დაჯდეს, ის ჩვენ შემოგაწერეთ ვალათაო, ორმოც-სამოც წელიწადში გარდაიხდითო. ეს არაიენ ითხოვა, არც ხელი არაიენ გაანძრია, და ესლა ხელახლად სჯიან, როგორ მოუხდებოდა... არ მოჯერით, თორემ მართალს ვამბობ მე, რომ მუთისი ახირებული ქალაქია...

რაკი თხოვნაზე ჩამოვარდა ლაპარაკი დასაბოლოებლათ გეტყვი, რომ თხოვნები აქ მშვენიერათ ხარობენ. ზოგნი ამბობენ უნივერსიტეტზე, ზოგი ერობაზე („земство“). ამ საგანზე მე აქ არა მეთქმის რა, იმას მეტი, რომ „მშვენიერათ ხელი მოუშართოს!“

მუთისიც იცლებს. ჩვენშიაც შემოვიდა „აბანოების“ ჩვეულება. აბანოუმანი, მჭეე-წყლები, ბარჯობი, ჩვენთვისაც საზაფხულო ადგილებათ გადაიქცნენ. მართლა, ძულაშს, თ. ალ. მიქელაძის ეზოში, რკინიგზის წყალი აღმოჩენილა. ამბობდენ, ჩინებულიაო. მე თვითონ ენახე ამ ნაირივე წყალი ტყებულას, სწორეთ იმ ადგილს, სადა ქვის ნახშირი იბოება. რაღა გვიშავს: თუ დარი დაგვიდგა, ამ მხრით მაინც დავემგავსებით შევიცარიას, თუ სხვა მხრით არა.

ივლისის 11 1871

ს. სკანდელი

შუალო ჩიდაპტორი!

თქვენის „ლორების“ მე 19 ა.ში სხვათა შორის დაბეჭდილი იყო, რომ თ. ალექსანდრე წერეთელს ბევრი ქართული წიგნები

პატივს სცემდნენ შენ უცხოებს
და მოძებნეს კი უშინდელ ქვეებს!

თუ რომ გინდა გახდევარდი,
შეიქმენი დარდი - მანდი,
შული ხარჯე და იხარე,
სანამდისაც გსურს იხარე!..

თუ გსურს იყო შენ პიონი,
შინით იქმენ წინ პიონი!
ამხელე მარჯვეთ ყური,
შურუნველათ სკამე პური!

თუ გსურს, რომ გაქმდენ ყველა,
მატყუარი ვახდი, მელა!
პირში აქე და აღიდე,
ჩუმათ კი ჭირს გადაჰკიდე!

თუ გავლიჯო ერთი მოძმე,
მინც იქნება მის მოწამე,
სოტა მასაც უხიარე
და ნაცარცი მით დაფარე!

და თუ ეს გსურს, რომ სულ წაადე,
მირჩევ კარგი კაცი ვახდი,
და ხელთ გეპყრას რკინის ბარი
სამარისა ვასათხარი!

მუთისი

ხალხში პირდაპირ ყოლიფერს თეთრი უძახოს და ჩემ-ჩუმათ, მეღურათ კი ყოლიფერს შავიო. ღღეს კი ერთი ყმაწვილი ენახე, სწორეთ რომ გუგულოაო!

იქ ამ სიტყვებს მისმა პატარა ვაჟმა ყური მოჰკრა და ჰკითხა მამას:

— მამა! გუგული ლა ალი?
— მამა უპასუხა:— ჩიტი, შეილია!

— ლა ციტია!
— მისთანა ჩიტი, რომელიც დაგვძახის ხოლმე: კუკუ! კუკუ! კუკუ!

— მას, მამა, ვე ყმაწვილიც ხომ „კუკუს“ დაგვძახებს?...
— იმას სხვა თვისებაცა აქვს, შეილია!...
— ლაი?

— ძალიან ეშმაკი ჩიტი, შეილია: სხვის ბუდეში იცის კვერცხების ჩადებაო.

ამ სიტყვებმა ყურები გამოაცქეტიეს იმ დარბაისელი კაცის ცოლს და თანაც ჩაფიქრეს. მამარმა ჰკითხა, რამ დაგაფიქრაო? მიშ, როგორ არ დაფიქრდე, ამოტენა შეილი გვეზდება, საჭირო არის ამისთვის მანაწვილებელი და იმდენი ეცადე ის გუგული ჩვენს ოჯახში შემოიყვანო როგორმეო....

შეღდა სხვა და სხვა კამაზიები და სხვათა

შორის გაიმართა ორი კანტორა ამ ფირმებით:

1) აბდულა და კამა.— 2) ალი და კამა....
პირველი კამაზია მდიდარი იყო და მისი წვერებიც სასარგებლოს არას აკეთებდენ, თუ არა მანებელს საზოგადოებისათვის; მეორე კი ღარიბი და საქმეც ის იყო მათი, რომ რაც რამე კი მოხდებდა ან მანებელი და ან სასარგებლო საზოგადოებისათვის, მაშინვე დაეთარში ჩააწერდენ...

აბდულა და კამა. წვერება არჩიეს ერთხელ და გადასწყვიტეს, რადგანც ჩვენში მისელები უყვართ და ენების მოთხოვნილება არის, თუცა აღკრძალული კი არის მითი ვაჭრობა მაგრამ ჩვენ ჩუმათ ვივაჭროთ და თუ გავიგეს, მეორე კამაზიას გადავბრალოთ, რადგანც ის კამაზია სიმდიდრეს არ დასდევს, ღარიბი და საზოგადო კანონის ძალით, სანამ კუყის ბუდე ჯიბე არის, ღარიბი ყოველფერში მტყუანიაო. აი, ასრულეს ეს რჩევა, დაწყეს ენების ყიდვა; ენც გაიგო, ოკროს ალგირი ამოდევს პირში და ბრალი მეორე კამაზიას დაედდა. მართმა საქებმა გვამმა უთხრა ამ კამაზიას: რა დამართნიათ, რა ვაჭრობა დაგიწყიათ? კამაზიამ უპასუხა: ჩვენ ისევე დაეთარება ვჭერთო და თუ ენის ყიდვას გვეწამები, ის მონახე ჯერ ვისთვის მიგვიყიდიაო და მერე გეტყვი

პასუხსო. წავიდა ეს ჩინებული გემი, იარა, იარა, ვერაიენ ნახა პირდაპირმყიდველი, სულ-ყველა გავიგონებოდათ მართლულობდენ თავს, მოუვიდა გული, მიაფურთხა ცოლდით დაბრაზიანებულეებსა და მივიდა ისევე მეორე კამაზიის წვერებთან; ისინი დიდს საქმეში იყენენ; დაეთარების ნაცვლად რეცეფთებსა სწერდენ; რათ გინდათ ვე რეცეფთებო? ჰკითხა. ამათ უპასუხეს: პირველი კამაზია რომ ენებსა ჰყიდის, ის საზოგადოებას აწყენს მოკლეს ხანშიო და ჩვენ სააქიმოთაც ვახდებთ ვინმეო!..

ჩვენა გვეყვანან ბევრი ყმაწვილი კაცები, რომლებიც იძახიან თავიგული ვართ საზოგადოებისაო და ყვეგილებათ იგდებენ თავს. მართალია, სწორეთ ყვეგილები არიან, მაგრამ საბრალო რომელიც ვარდი და ია არის, ისე ჰიჭუნან იმათ, რომ თითქმის დამქნარან, მეტის სუნეითა და კოცნით, მაგრამ პიონები კი ძალიან კარგათ არიან შენახული; ეს მისი ბრალია, რომ ამ პიონებს წინ „შინი“ ეხმარებათ!..... ამ ყმაწვილებს ერთი სიმღერა შემოუღიათ და იმდენიან „შინდა მომკლას“ ხმაზედ:

თუ რომ გინდა გახდე ია,
პირი გქონდეს მუდამ ღია!

აქეს და არაეის ასარგებლებსო. მს სიტყვები თ. ა. წერეთელს მიუღია საწყენად და მის დაწერასაც მე შეწყაება ამ სიტყვებით: "თუ ნამდვილად აკაცი წერეთლის დაწერილი არ არის, მისი აზრი ხომ მაინც არისო." რომ ჩემი დაწერილი ის სტატია არ ყოფილა, ის თქვენს იცით და რაც შეეხება ჩემს აზრებს ალექსანდრე წერეთლის ძველ ქართულ ხელთ-ნაწერების თაობაზე, იმედი აქვს, რომ თქვენც და თვით ალექსანდრე წერეთელიც შემდგომ სიტყვებიდამ სცნობთ.

ჩვენი ხალხი საზოგადოდ დარწმუნებულია, ვითომც ზოგიერთ გველებს ძვირფასი ქვები ჰქონდესთ ხან და ხან სათამაშოდ, და ვინც იმ გველთაგანს მოჰკლავს და იმ ქვასაც, ნატარის ფეხს, წართმევს, გაბედნიერდება. ამ აზრზე ყველა დაჯერებულია, მაგრამ ჯერ კი პირადად არც იმ გველის მნახველი ვისმეს უნახავს და არც ნატარის თვალის წამრთმევი და მით გაბედნიერებული. სწორეთ ამ გველის არაკის მსგავსად დარწმუნებულია ჩვენი საზოგადოება შესახებ ზოგიერთი პირების ქართული წიგნების განძის თაობაზე!... ამ წინადადების დამტკიცებას ჩვენ ქვემოთ შევლევთ.

ჯერ კი ვიტყვით რაოდენსამე სიტყვას საზოგადოდ იმ გველებზე, რომელთაც ნამდვილად ჩაუგდიათ ხელში ძველი ქართული ხელ-ნაწერები და არც თვითონ სარგებლობენ და არც საზოგადოებას ასარგებლებენ. რისი ღირსი არიან ისინი და როგორ უნდა გადახდებიან საზოგადოებამ მათ და რა პასუხი მოსთხოვს ამ გვარ არა-კაცურ მოქმედებაში? — თუ მივბაძვით ჯვარცმულის მაგ. ლითს. უნდა მხოლოდ გლოვოთ მათთვის და ვევედროთ ღმერთს მათს უგუნურებდამ გამოყენას, რადგანაც მათ არ იციან, რასა შერებინან. მს კანონი, როგორათაც კერძო და სასუფეველის მომნიჭებელი, კარგი არის თვითონ, კერძო პირებისათვის, მაგრამ, რადგანაც კაცს საქაოსაც ჰსურს და ეჭვრება ტუბილი და ბედნიერი ცხოვრება, მაშინ კიდევ სხვა კანონიც არის საჭირო, საზოგადოების კეთილ-დღეობისა და მისის მშვიდობიანობისთვის; და ის საზოგადო კანონი კიდევაც აქვს ჩვენს ხალხს უმაღლესათ მონიჭებული, რომლის პირველივე მუხლი სჯულად გვიღებს, რომ კანონის უტოლდებლობით არაეის არ შეუძლია თავი იმართლოს და არ დაისაჯოს! ამ ამ კანონის, ამ მუხლის ძალით, ის პირები, რომლებიც ქართულ ხელ-ნაწერებს მალევენ და აფუჭებენ, ღირსი არიან შეირიცხონ დამნაშავედ, რადგანაც იმათგარი მოქმედება, ე. ი. ძველი ქართული წერილების მითვისება და დამალვა საზოგადოებისაგან, არის მითვისება საზოგადოების და შთამომავლობის საკუთრებისა!

დასამტკიცებლად ამ ჩემის ჰაზრისა გავსინჯოთ შემდეგი:

აეტარი რომელიმე თხზულებისა, მისთვის კი არ შრომობს და სწერს, რომ ჩემი შრომა სალაროში დაიმალოსო; თუ დასამალავათ უნდადეს, როდღი დასწერს! მაშინ უმჯობესი არ იქნება და უფრო ადვილიც, რომ ასევე მის თავში და გულშივე იყოს მისი აზრები და გრძობა? მაღალზედ რაღათ გადასცემს, და ან რომელი ხალარო სჯობს აეტარის ბრწყინვალე თავსა და წმინდა გულსა? არა, ისა სწერს მისთვის, რომ თავის ცოდნა და აზრი გაუზიაროს საზოგადოებას და გადასცეს შთამომავლობას, და ის რომ იცოდეს, რომ მისი შრომა და მისი გრძობა-გრძობა დატუსაღებული იქნება სადმე ნოტიო სალაროში, შრომას რაღათ გასწევს! —

რადგანაც ძველს დროში ბეჭდვა არ იყო, ქართული ხელთ-ნაწერები დარჩენილან თვითონ ეგზემპლიარებად, ჩავარდნიან ხელში თვითონ კერძო პირებს, მიუთვისებიათ და აღარ ასარგებლებენ საზოგადოებას. მგება გვიპასუ-

ხონ ამაზედ, რომ მისი დამწერი, ვინ იცის, ვინ იყო და რა დროს? მინ არის მისი მემკვიდრე, რომ მედავოსო? ჩვენ რას დავეძებთ, თუ ვინ იყო დამწერი და როდის! ჩვენ ვიცით მხოლოდ ეს, რომ მის დამწერი ყოფილა ქართველი კაცი, ჩვენის მიწის შვილი და შეუთხზავს წიგნი სასარგებლოდ ქვეყნისა და შთამომავლობისა, მემკვიდრეებად დაუნიშნავს მთელი ხალხი და შთამომავლობები და არა ერთი კერძო ვინმე. ამის მაგალითს გვიჩვენებს თ. ღვით ბურამიშვილი, აეტარი „ღვითიანისა“, მეთერთმეტე საუკუნის მწერალი, შემდგომს აღსარებით: „მემკვიდრედ ღმერთს ჩემთვის შვილი არ მოუცია, მაგრამ ვინც კი ამ ჩემს თხზულებას იკითხავს და იქონიებს, ისინი სულ ყველა ჩემი მემკვიდრეები იქნებიანო!“ მგება ესეცა სთქვან კერძო პირებმა, რომ ის ხელთ-ნაწერები ჩვენ შევიძინეთ, როგორმე, მაგალითად ყიდვითო. ღიან კარგი და პატროსანი, მაგრამ რა ნება ჰქონდათ, რომ საკუთრება მთელის ხალხისა იმათ სყიდვით მიუთვისებიათ? ამ შემთხვევაშიაც მყოფელიცა და გამყიდველიც ორივენი დამნაშავენი არიან და გაკიცხვის ღირსნი. თუ მის იტყვიან, რომ ვიპოვნეთ და რა ხელი აქვს ვისმესო? მერც მაშინ გამართლებიან. თუ იპოვეს სხვისი საქონელი, რათ არ გამოუტყდეს პატრონს? რათ სინდისით არ დაუბრუნეს საზოგადოებას მისი საკუთრება და ჩუმათ დაკეტული შინაზე? არავითარის მხრით იმათ გასამართლებელი არა აქვსთ რა! ისინი რჩებიან საზოგადოების წინაშე სხვისი საკუთრების მიმთვისებლებათ. და სასაცილოც ის არის, რომ ამ ნაირი პირები ახალგაზღვრებას ცილსა სწამებენ, ვითომც მათ ძველებური ყოველივერი სძულდეთ და დასცილობდენ, მაშინ როდესაც, თუ კი რამ მოსაწონი და სასარგებლო დაგვრჩენია ძველთაგან, ახალგაზღვრება ფრთხილ ეძებს, რომ გამოაჩინოს და დამკინებლები კი მალევენ. მს კია, ძველებისგან ცუდი რაც დაგვრჩენია, ახალგაზღვრები აჩენენ და იძახიან, ეს ჩვენ ძველებისაგან მივიღეთო. ამის გამო ზოგიერთები ჩვენს ახალგაზღვრებაზე ამბობენ, რომ იმას არაფერი ძველებური არ მოსწონსო. ამის პასუხად შეგიძლია ჩვენ მოვახსენოთ, რომ ჩვენ ძველებს უმეტესი კარგი ჩვეულება ჰქონდათ, რომელიც დღეს დაუვიწყრებიათ და არ იქნება, რომ ზოგი ცუდი და გასაკიცხი ჩვეულებაც არა ჰქონოდესთ და ეს ცუდები ზოგიერთ პირებს მთლად მიუღიათ! და რაღა მარტო იმ ცუდს გვიჩვენებენ, გვიჩვენონ ის საქები ჩვეულებებიც, რომელნიც ჩვენს ძველებს ჰქონიათ და ისე უქმებთ მაშინ იმ კარგ ჩვეულებებს, როგორც დღეს უძაგებთ ცუდებს. მს მოგვიხსენებია საზოგადოთ იმ პირებზედ, ვინც ძველ წერილებს გვიმალევენ.

ახლა პირ და პირ გადავიდეთ თ. ალექსანდრე წერეთლის ქართული ბიბლიოთეკის თაობაზე:

რადგანაც ძველათ ბეჭდვა არ იყო და მის გამო ქართული წიგნები თვითონ ეგზემპლიარად რჩებოდა, მისთვის დიდი ფასიც ედევათ და ყოველი გამოჩენილი დიდი-კაცი ცდილობდა მათ შექენას. შეფეებს, მთავრებს და გამოჩენილ დიდ-კაცებს ჰქონდათ ხშირად კარგი სალარო წიგნებისა. გამოჩენილის თავადის ბრიგოლ წერეთლის ბედმა ისე იმუშავა, რომ ბევრის შეგროვებული წიგნები იმას ჩაუგდო ხელში. თვითონ ბრიგოლ წერეთელი გაზდილი იყო ზაქარია არხიმანდრიტის და ანტონ მათოლიკოსისა და მათი დანარჩენი წიგნები მან შევიძინა. მართი და ბრიგოლისა ცოლათ ყავდა მეფე ბიორგის ძეს, იოვანეს, მერვე სამეგრელოს მთავარს, ღადიანს. მკვიდრი მამისდა ბრიგოლისა დედა იყო ბურიის მთავრის მამია ბურიელისა და ამ ქალების შემწვობით ბრიგოლმა ჩაიგდო ხელში იმათ შეკრებული ქართული წიგნები. აგრეთვე როდესაც თ. ივანე

აბაშიძე გადაეარდა ახალციხეს, ბრიგოლმა დაირჩინა მისი წიგნები და შეადგინა ძვირფასი ბიბლიოთეკა.

მს ვიცით, მართალია, მაგრამ ის კი არ ვიცით, მის ძეს თ. ალექსანდრე წერეთელსაც აქვს მისის მამისაგან შეძენილი წიგნები, თუ არა! მს კია რომ, რომ ქონებოდა, თ. ალექსანდრე წერეთელი, როგორც გამიგონია, ისეთი მტკიცე და გამბედევი ხასიათის კაცია, რომ არ იტყოდა, თუ არა მაქვსო, და უშიშრად, თამამად გამოაცხადებდა თავის აზრს ამ სიტყვებით: „წიგნები მაქვს, მაგრამ არაეის არ ვათხოვებ, რადგანც, ჩემის აზრით, წიგნები არიან ბოროტების და ცუდის იარაღიო...“

მს ჩემი საკუთარი მოსაზრება და თ. ა. წერეთლის ხასიათი მიმტკიცებს მე მას, რომ იმას ძველი ქართული წიგნები არა აქვს, და რაცა აქვს, ვის არ უნახავს. მართი ხელთნაწერი რვეული, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა ანდაზებს, შეკრებულს მამის მისის თ. ბრიგოლ წერეთლისაგან. მს ანდაზები ანაბანაზედ არიან დაწერილი და იწყება ამ ანდაზით: „ავი ძაღლი არც სხვას აქმებს და არც თვითონ სჭამსო“, და ბოლოვდება რუსთველის ლექსით:

შილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ქონდათ ცილობა,
„ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზდილობა,
თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარი-შვილობა.“

ამ ეს გახლავს ჩემი აზრი და, რადგანაც თ. ალექსანდრე წერეთელს ჰსურდა შეეტყუა, გთხოვ, უფალო რედაქტორო, ამ ჩემს ნაწერს თქვენს გაზეთში ადგილი უბოძოთ.

თ. ა. წერეთელი.

ჩვენ ყურამდი მოაწია ამბავმა, რომ ბურიაში სდგება კამპანია, რომელიც ტყის გაზიდვას აპირებს თურმე სამზღვარს გარეთ. კამპანია შემდგარა რამდენისამე ტყის პატრონისა და კაპიტალისტისაგან, რომელთაც ტყის გასატანათ საკუთარი გემის ყიდვა განუზრახავთ.

ამ კამპანიის თაობაზე სწორეთ ისევე ითქმის, რაც ამ წლის „ღროების“ მეექვსე ნომერში ვსთქვით ჩვენ, როდესაც ახალ მწარმოებელ (?) საზოგადოების თაობაზე ელაპარაკობდით. მაგრამ ეს საქმე კიდევ უფრო მომეტებული ყურადღების ღირსია, რადგან დაუზოგველათ, უზომოთ ტყის ამოჭრა მთელ ჩვენ ქვეყანას დეტყობა, და ამიტომ საჭირო ევლია, რომ ახალმა კამპანიამ ამ საქმეში, მარტო თავის საკუთარ სარგებლობისთვის, მთელი მხარის სარგებლობა და ზიანი არ დაგდას უყურადღებოდ.

მინ არ იცის, რომ იმდენი ნავთი, რამდენიც აცეკსიაშია, ძასპის ზღვის ნაპირებზე, თითქმის არსად არ მოაპოვება. მ გრამ სარგებლობა კი ძალიან ნაკლებათა გვაქვს ამ ძვირფასი ნავთისაგან. ამერიკაში ჩვენზე ნაკლებია ნავთი, მაგრამ იქ ყოველ წელიწადს 480 მილიონი შემოსავალი აქვს სახელმწიფოს იმისაგან. ღღემდი ნავთს მარტო ასანთები ზეთის გამოსახდელათ ხმარობდენ. ახლა ერთ რუს-კორეცკის—უცდია და დაუნახავს, რომ ნავთი ქვის-ნახშირის მაგიერათ შეიძლება იხმაროს კაცმა ცეცხლის გემებისთვისო. ამ გარემოებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ექნება ვაჭრობისთვის და ხოლმანდებით მისელო-მოსელისთვის, რადგან ნავთის ხმარება ერთი-ორათ უფრო იაფათ დაჯდება, ვიდრემ ქვის ნახშირისა. რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ ამ საქმის თაობაზე კამპანია შემდგარა, რომელსაც ერთი მილიონი ფული აქვს და რომელიც აცეკსიაში ნავთის შემუშავებას და იმით ვაჭრობას აპირებს თურმე. უფ. პორეცკის წინადადება მიუცია „რუსის ვაჭრობის და ცეცხლის გემებისა და რკინის გზების საზოგადოებისთვის“, რომ, ქვეს ნახშირის მაგიერათ, ნავთი იხმარეთო.

ამ გარემოებამ არ უნდა შეაშინოს ის პირები, რომელთაც მონაწილეობა აქვთ ტყის-წილის ქვის-ნახშირის მადანში. ისინი დაუწყებულნი უნდა იყვნენ, რომ რამდენიც უნდა იყოს ჩვენში ქვის-ნახშირი, გასაყალი ყოველთვის ექნება და ფასსაც ძნელათ დაიკლებს.

შეთათის უფლის ზოგიერთ სოფლებში საქონელს ციმბირის პირი გამოჩენია. ამ საქმეს ახლავ უნდა თადარიგი, თორემ რა გავრცელდება, მერე ძნელი მოსასაპი იქნება.

რუსეთი

პირველი იელისის „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება და ახალი კანონები რეალური და კლასიკური გიმნაზიების თაობაზე. მოგვყავს ამ ახალი წესდებულებიდან ზოგიერთი მუხლები:

რეალური გიმნაზიები დარჩებიან იმავე მდგომარეობაში, რომელშიაც ახლა იმყოფებიან, სანამ ამის თაობაზე სახელმწიფო რჩევა ახალ წესდებულებას არ გამოსცემს. სახელმწიფო რჩევამ უნდა განიხილოს ის პრაქტიკი რეალურ სასწავლებლებზე, რომელიც სახალხო განათლების მინისტრმა შეიტანა, და ახალი წესდებულება გამოსცეს.

რეალურ სასწავლებლებში კურს-შესრულებულებს არცერთ უნივერსიტეტის ფოკულტეტში შესვლის ნება არა აქვთ.

ახლანდელი კლასიკური გიმნაზიები არ შეიძლება რეალურათ გადაკეთდეს.

უნივერსიტეტში მხოლოდ იმ ყმაწვილ კაცებს მიიღვენ, რომელთაც კლასიკურ გიმნაზიაში შესრულებიან სწავლა და ორი ძველი ენა—ლათინური და ბერძნული—უსწავლიათ *).

კლასიკურ გიმნაზიებში სწავლა რვა წელიწადს გავრძელდება. მეშვიდე კლასში ყმაწვილი ორ წელიწადს უნდა დარჩეს.

ღირეკტორი და ინსპექტორი სხვა მასწავლებლებსავე უნდა ასწავლიდნენ კლასებში რომელსამე საგანს. იმათ ამისთვის ცალკე ჯამაგირი ექნებათ.


მდისის პორეცკონდენტი „პეტერბურღის სწიყებისა“ იწერება, რომ ამ ქალაქში აპირებდენ ისეთი საზოგადოების შედგენას, რომელსაც ქალებში განათლების გავრცელება უნდა ჰქონოდა აზრათ. ამ საზოგადოებას წესდებულება მზათ ჰქონდა, მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ეს წესდებულება მმართველობას არ დაუმტკიცებია.

უცხო ქვეყნები

საზარაგეთი და გაგაგაბა

შველზე უფრო შესანიშნავი და ყურადღების ღირსი ამბავი უკანასკნელ დამატებით ამორჩევებში არის მაშხეტას ამორჩევა. ამ ამორჩევას განსაკუთრებით ახლა აქვს დიდი მნიშვნელობა, ამიტომ რომ უკანასკნელ დროს მონარხული დეპუტატები ისე ვათამამდნენ ნაციონალურ შრებაში და ისეთი ძალა ჰქონდათ იმათ, რომ, უტყველია, დღეს თუ არა ხეალ დასავმდენ რომელსამე ძველი დინასტიის პრინცს საფრანგეთის ტახტზე. ჯამბეტას ამორჩევის შემდეგ კი ამას ისე ადვილათ ვერ იქმონენ: ყველამ იცის, რომ მაშხეტა წმინდა რესპუბლიკელია, ყველამ იცის აგრეთვე, რომ ამას დიდი სახელი და გავლენა აქვს საფრანგეთში და ამიტომ იმის სიტყვას და წი-

*) ახალი წესდებულებით, ლათინურ ენას 49 საათი (ურთკ) აქვს კვირაში დანიშნული, ბერძნულს — 36, მათემატიკას — 37, რუსულ ენას — 24, ფრანკულს ან ნემეცურ ენას — 19, სამღვთო წერილს — 13, ისტორიას — 12 და გეოგრაფიას — 10.



ნაღმდევობას ყოველთვის დიდი ძალა ექნება. შურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ, თუმცა ტიერი და მამბეტა ვერ არიან მეგობრები და თუმცა, ტიერს გარდა, თითქმის ყველა პარიჟისა და პარიჟინციების გაზეთები აფრთხილებდნენ ამოიჩინებდნენ, რომ მამბეტას ნუ ამოიჩინებდნენ დეპუტატთა, თორემ საფრანგეთის საქმეები ისევე აირყვია, მაგრამ კენჭის ყრის დროს იმას ყველაზე უფრო მომეტებული ხმა ერგო და, ერთის მაგივრათ, სამს ალაგას ამოიჩინეს. მამბეტას ამოიჩინეთ პარიჟისა და მარსელს, უეჭველია, უნდოდან დაემტკიცებიათ ტიერისთვის, რომ იმათ ნდობა არა აქვთ ახლანდელი მმართველობისა და ამიტომ გაგზავნეს ისეთი პირი, რომელსაც იმისი წინააღმდეგობა შეუძლია. ამოიჩინეს დროს თვითონ მამბეტაც ძალიან ოსტატურათ მოაქცია: იმ შესანიშნავ სიტყვაში, რომელიც ბორდოში წარმოსთქვა, იმან გამოაცხადა, რომ ის აღიარებს კანონიერ მმართველობათ ახლანდელ მმართველობასა და არ ეცდება იმის მოსპობას. ამევე სიტყვაში მამბეტამ გამოაცხადა—თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ახლა რესპუბლიკური პარტიის პროგრამა და როგორ უნდა სცდილობდნენ ფრანკულუბები, რომ თავის სამშობლო ისევე აღამაღლონ. იმის სიტყვით, საფრანგეთი სოფელი ხალხის გაუნათლებლობამ, იმპერიის გამტყუანელმა ზედმოქმედებამ და სამხედრო ძალის უთანადო დამკვიდრებამ დაამარცხა, და ამიტომ ყოველი მამულის მოყვარის მზრუნველობა ამ ქვეყანაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მდებარე ხალხს მიანიჭოს განათლების საშუალება, რესპუბლიკა დაამკვიდროს საფრანგეთში და ყოველი მოქალაქე ერთნაირად ელდებულნი უნდა იყოს, თავის შემდგომისა დაგვირავთ, ემსახუროს სამშობლოს, როგორც ზნეობითი, ისე ფიზიკური ძალითაც.

მაგრამ მამბეტასი და იმის მომხრეების პროგრამას ყველაზე უკეთ დაგვანახებს თვითონ იმის სიტყვები, რომელიც ერთი ინგლისის გაზეთის კორრესპონდენტისთვის უთქვამს იმას: — რატომ მომუნის წინააღმდეგ არ მოქმედებდით თქვენ? ეკითხა თავდაპირველათ კორრესპონდენტს.

— თქვენ უნდა გაიხსენოთ, უპასუხა მამბეტამ, რა მდგომარეობაში ვიყავი მე 5 თებერვლის შემდეგ (ე. ი. მორიგების შემდეგ): მე გამოვედი სამსახურიდან და წავედი სან-სებასტიანოში (მსპანიაში), სადაც ხუთი თვის განმავლობაში მხოლოდ იმაზე ვზრუნავდი, რომ ავთოყოფობისაგან განეთავისუფლებულიყავი. მე სამუდამოთ მინდოდა პოლიტიკას და საზოგადო საქმეებს გამოეთხოვებოდი და ვაჭრულ საქმეებისთვის მომეკიდნა ხელი. შევიტყე თუ არა, რომ პარიჟში რევოლუციისა, იმ წამსვე მიხვდით, რომ შულ-ჩაბრი, პიკარი, შულ-სიმონი და ჩერრი არიან ამაში დამნაშავენი. იმათ ეჯავრებათ პარიჟი და იმის დამკვირვება უნდოდან. ტიერიც თავისკენ მიიმხრეს. პარიჟი მიატოვეს და მომუნის მომხრეებმა ჩივდეს ის ხელში, როგორ შემეძლო ამისთანა საქმეში მონაწილეობა მივლო?“

დამატებით ამოიჩინეს შესახებ, მამბეტამ უთხრა კორრესპონდენტს, რომ ყველაზე უფრო სასიამოვნო ჩემთვის ის იყო, რომ პარიჟმა ამოიჩინა. „პარიჟმა არ ათხოვა ყური იმ ცუდ ხმებს, რომელსაც ჩემზედ ავრცელებდნენ და, ჩემს გარდა, ორი ჩემი მომხრე— ჩედვრბი და შორესი ამოიჩინეს. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საფრანგეთს რესპუბლიკა ჰსურს. ახლა ჩვენ უნდა დავაფუძნოთ ზომიერი რესპუბლიკა, რომელიც მშვიდობიანობას მიანიჭებს საფრანგეთს. ჩვენ უნდა შევმატოთ საფრანგეთს სამხედრო ძალა, უნდა აღვზარდოთ სოფელიები და მოვსპოთ განხეთქილება, რომელიც ქალაქებსა და სოფლებს შუა,

და სხვა და სხვა წოდებებს შუა არსებობს. აი, ეს იქნება ჩემი პარტიის მოქმედების პროგრამა, დაუმატა მამბეტამ, და ამ საქმეში ყოველ ფრანკულუბს უნდა მიიღოს მონაწილეობა.“

ასე ვრცლათ მამბეტაზე იმითომ ვილაპარაკეთ, რომ საფრანგეთის მომავალ ბედში იმას და იმის პარტიას, უეჭველია, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებათ.

— თუმცა გაზეთებში სწერენ, რომ შერსალის მმართველობამ ყველა პარიჟის მომუნის მოთავეები და მომხრეები დაიჭირა, მაგრამ, როგორც, ახლა ხსენს, ბევრი იმათგან გაქცეულან და ზოგი, რომელნიც მოკლულნი ევანთ, ცოცხლები დარჩენილან. მომუნის სამხედრო მინისტრზე—ძლუზრეზე—რომ დროს სწერდნენ, რომ ის, პარიჟის აღების შემდეგ, ერთ ბარიკადზე წახეს მკვდარიო, მაგრამ ახლა ამერიკიდან მოვიდა ამბავი, რომ ეს გამოჩენილი ღენერალი იქ არის თურმე ცოცხალი და მშვიდობით.

— მართა პარიჟის აღვრცელმა—მიულერმა—მოიწვია თავის ახმანაგები და შეადგინა ადვოკატების საზოგადოება, რომლის დანიშნულება ის იქნება, რომ უზღვევდნენ დიცილ მომუნის მომხრეები, რომლებიც ზნირათ ტყუილ-უბრალოთ დატუსაღებულნი არიან პარიჟის საპრობილიგებში და რომელთაც იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ თავის დამცველი იქირაონ.

— ნაციონალურმა პრებამ დანიშნა ამას წინათ ცალკე კამისია, რომელმაც უკანასკნელი არეულობა და 4 სექტემბრის მმართველობის მოქმედება უნდა გამოიძიოს. ეს კამისია ძალიან გულს-მოდგინეთ იძებს თურმე ამ საქმეებს. ამას წინეთ პიკარს, მმ. პრაგოს და მქენ პელტანს მიუტყავთ ჩვენება და წარუდგენათ ამ კამისიისთვის თავის მოქმედების ანგარიში.

— მართს ფრანკულუბთა გაზეთში სწერენ 8 ივლისიდან, მმართველობამ გადაწყვიტა, რომ მომავალი კვირიდან ნაციონალური პრება პარიჟში უნდა გადმოვიდეს. ამასთანავე, ზოგიერთ სამინისტროებს გარდა, ყველა სასამართლოები მოკლე დროში მერსალიდან პარიჟს უნდა გადმოიტანონ.

— ივლისის 3-ს მერსალის ნაციონალურს პრებაში იყო სჯა იმაზე—გაზეთის გამოცემლებმა უნდა შეიტანონ ხაზინაში ბე, თუ არაო. მართა რესპუბლიკელმა დეპუტატმა—ტასტელანმა—ამ საქმის თაობაზე შემდეგი სიტყვა სთქვა:

„მე ვაკვირვებს ის გარემოება, რომ მმართველობას დღეს ჰსურს მოსპოს ის, რაც თავის დამკვიდრებისთანავე, 4 სექტემბერს, დადგინა. მასაკვირველია, რომ ეხლანდელი მმართველობის პირები მაშინ სულ სხვა აზრის იყვნენ ამ საქმის თაობაზე და დღეს კი სულ სხვისა არიან. სანამ ხალხს ხმის ამოდების უფლება არა აქვს, მანამ იმას არ შეუძლია სთქვას, რომ თვითონ განაგებს თავის საქმეებს. „ხალხი, რომელიც იძულებულია ჩუმად იყოს, ის ხალხი შევიწროებული არის.“ სთქვა პასკალმა, და ახალ კანონს კი ჰსურს ხმა ჩააქმენდინოს ხალხს. მსევე აზრი გამოსთქვა ერთ დროს შულ—სიმონმა, ახლანდელმა მმართველობის წევრმა; იმან სთქვა: „ბების მოთხოვნით, თქვენ გურთ ღარიბებს ხმა არ ამოაღებინათ. რევოლუციამ უნდა მოსპოს გაზეთის გამოცემისთვის ზეს შეტანა.“ თქვენ გინდათო, განაგრძო ტასტელანმა, რომ გაზეთებს მხოლოდ მდიდრები სცემდნენ. მაგრამ ნუ თუ გგონიათ, რომ ეს რამიმე მოგვხმარათ. იმპერიის დროსაც იყო ბე საფრანგეთში, მაგრამ როგორც გაზეთებს „შანარსა“ და „მარსელიეზას“—ვერ დაუშავა იმან ნაპოლეონის წინააღმდეგობა და იმის

მმართველობის დამკვირება. რათ თხოულობთ თქვენ ზეს იმ დანაშაულობისთვის, რომელიც შეიძლება მოხდეს და შეიძლება არა? ან რატომ მარტო გაზეთების გამოცემლებს სთხოვთ ზეს? რატომ აფრთხილავთ არა სთხოვთ? მანამ იმას არ შეუძლია მოწამლოს კაცი?“

— იმ 113 დეპუტატებში, რომელნიც ახლათ ამოიჩინეთ საფრანგეთში, 85 კაცი ზომიერი რესპუბლიკელებს ეკუთვნის; ამთ მიუღიან ტიერის პროგრამა და იმის მმართველობას არ ეწინააღმდეგებიან. 11 დეპუტატი რადიკალურ რესპუბლიკელებს ეკუთვნის; ამთ რიცხვში არიან: მამბეტა, პიშა, ლორიე, ნაკე, სენ-მარტენ, პასკალ ლიუპრა, მილოლი, კესტენერა და სხვ., 2 ბურბონის მომხრე, 3 მრულენებისა და ერთი ბონაპარტიტი.

ინგლისი

ინგლისის პარლამენტში სხვა საგნებთა შორის ამ ქვეყანაში ჯარზედაც არის მოლაპარაკება. შეველა მერსალის სახელმწიფოები უმეტებენ თავიანთ ჯარების რიცხვს, ყველანი ახალ თოფ-იარაღს ურიგებენ ამ ჯარებს და ამაგრებენ ციხეებს. ამათი მიხედვით, ინგლისიც ზრუნავს ახლა თავის სამხედრო ძალის შემატებაზე. ამ საქმის თაობაზე პირველ მინისტრს—შლადსტანს—ბილი შეუტანია ინგლისის პარლამენტში. ჩვენმა მკითხველმა იქნება იცოდეს, რომ ინგლისში აფიცრების ჩინები იციდება. ამის გამო, რასაკვირველია, ზნირათ მცოდნე და გამოცდილი პირების მაგივრათ, მდიდრები მოულოდნელად აფიცრების ღირსებას; აქედან წარმოსდგება ის გარემოება, რომ ინგლისის არმიის ზნირანი აფიცრები იშვიათად არიან. ამ თავით მარტო ამ საგანზეა სჯა. მმართველობას ჰსურს, რომ აფიცრობა ფულით კი არა, ცოდნით და გამოცდილებით დაიმსახუროს კაცმა. მაგრამ ზოგიერთი მდიდრები და კონსერვატორები ამის წინააღმდეგ არიან.

— ტელეგრაფებიდან შეიტყობთ, რომ ინგლისის პარლამენტმა დაამტკიცა შლადსტანის ბილი ჩინის ყიდვის თაობაზე. ამ ბილის მიღების შემდეგ აი რა ცელილება მოხდება ინგლისის არმიის: 1) აფიცრის ჩინის ყიდვა მოისპობა; 2) იმ აფიცრებს, რომელთაც სუიდეით შეუძენიათ ჩინები, ჩამოერთმევათ და მის ნაცვლათ მმართველობა მისცემს იმათ ხედრ ფულს; 3) პარლამენტი გადასწყვეტს—რამდენი მოქმედი არმია და რამდენი რეზერვი უნდა იყოს ინგლისში. 4) სამხედრო ვარჯიშობის სწავლა ექვს თვეს გაგრძელდება. ინგლისის გაზეთების სიტყვით, ახალი სამხედრო კანონის ძალით, ინგლისში იქნება მოქმედი არმია და რეზერვი—327,000 კაცი და ამას გარდა—170,000 ვოლონტერები. ასე რომ ინგლისს სულ თითქმის ნახევარ მილიონამდე არმია ეყოლება (497,000).

გერმანია

აი როგორ არის აწერილი ნემეცურ გაზეთებში ის არეულობა, რომელიც ცენიგსგეტის (სილენის) მუშებმა მოახდინეს ამას წინეთ; აჯანყებულან ქვის-ნახშირის მადნის მუშები: „ინგლისის 26-ს ექვსასი მუშა შეიკრიბა ქარხანაში და მუშაობას ხელს არ ჰკიდებდნენ. იმათში დიდი ხმაურობა დი რაღაც მოძრაობა იყო. მარხნის უმფროსებმა ჰვითხეს: რა გინდათ, რას თხოულობთ? მუშებმა უპასუხეს, ჩვენ ვთხოულობთ, რომ დღიური ქირა მოგვემატოს, ღალა შეგვიძირდეს და ჩვენი მზრთავ რომ იყვნენ ამოიჩიული დეპუტატები ქალაქის გამგეობაშიო. იმათ თხოვნას, რასაკვირველია, ყური არ ათხოვეს. მეორე დღეს უარესი არეულება შეიქნა: ქალაქის თავი (გალაეა—ბურგომისტრი) და პოლიციის ორი მოხელე გალახეს. ამ დღეს ახლო-მასლო ადგილებიდანაც მოვიდნენ მუშები, ასე რომ აჯანყებულების რიცხვი 6,000

მუშა-კაცი შეიქნა. 28-ს იმით დაუპყვეით ამ ქარხნის ინსპექტორის კანტინა და რამდენიმე მდიდრების მალაზიები გაუცარცვათ. საღამოს 8 საათზე ამ დღეს მღვიფიციდამ მოვიდა 60 სალდათი, რომელნიც დაცნენ მუშებს და ამ დროს 7 კაცი მოკლეს და 20 დასჭრეს. 29-ს მთელი ბატალიონი მოვიდა ამ ქალაქში და არეულობის მოთავეები, 60 კაცი, დაიჭრეს; მაგრამ მუშაობას ისინი დღემდე ხელს არა კიდებენ.“

ბ ე ლ ე მ რ ა მ ე მ ე ი

მენა, 10 ივლის. მოლუხოსკი ბალიციის მთავარ-მმართველათ დანიშნეს. პარიჟი. შეველა სენისა და სომის დეპარტამენტებიდან ნემცებსა ჯარები გავიდნენ. ლონდონი. ადგილების ყიდვა მოისპო დეკრეტის ძალით.

ნ ა რ მ ე ი

იმ უბედურებაში, რომელიც ამ ქვეყანაში პასს ეწვია, ერთგული კათოლიკები ყოველ ღვინის-ძივას ხმარობენ, რომ როგორმე ანუგეზონ. სხვათა შორის გაცილებლად პოლემებს მიუხრთვით იმისთვის ერთი დიდი ქისა, რომელშიაც 25 ათასი მანეთის ოქროს ფული იდგა თურმე. პაი ძალიან მადლობელი დარჩენილა და უთქვამს იმათთვის, რომ „მაგიერს ლმერთი გადავიხდითო“.

ინგლისის თუთხმეტს საფრანგეთის ბანკში საშინელი მოძრაობა ყოფილა; ამ დღეს მმართველობა აგზავნიდა მერსალის 14 მილიონს კონტრიბუციას. პირობის ძალით, საფრანგეთმა სულ ოქროს და ვერცხლის ფულით უნდა გადაუხადოს იმას ვალი და ამ 14 მილიონს თოთხმეტი ურემი დასჭირებია გადასატანათ.

ნემეცურ გაზეთებში სწერენ, რომ უკანასკნელი ომიანობის დროს თოფებისა და ზარბაზნების ხმას და უფროსობა საფრანგეთში ფრინველები და სხვათა შორის აუარებელი ბულბულები იქიდან მერსალისაში გადაფრენილან.

ნეტავი ნემცებს! იმათ გამარჯვებას მამ ახლა ბულბულებიც კი დამდვირან!...

ამერიკაში სცხოვრობს ერთი ცოლ-ქმარი. ქმარი 88 წლისა და ცოლი—83 წლის. იმათი შთამომავლობა შესდგება ასობით და თვრამეტი პირისაგან. ამათ 14 ქალ-ვაჟი უკეთ, 79 შეილის-შვილი, 68 შეილის-შვილის-შვილი და 37 შეილის-შვილის-შვილის-შვილი. ამას გარდა ამ ცოლ-ქმარის შთამომავლობაში 45 სული მომკლარა.

აშენათ ლმერთმა! კარგი მოდგმისანი ყოფილან!

მენაში შესდგა ახალი სექტა (სარწმუნოება), რომლის დოქტრინები სხვათა შორის შემდეგნი არიან: ჩვენ ვაღიარებთ კაცების თანასწორობას; საქმრათ მხოლოდ ისეთი მოქმედება მიგვანბნა, რომელიც კაცობრიობის წარმატებას ეხმარება. იყავი კეთილი, გიყვარდეს ჰუმანიტება, ხელი მოუშარებ დავარდნილს და ღარიბს, თუ გინდა, რომ კაცურ კაცად ჩაირაცხო. ამ სექტის მომხრეებს არც წირვა-ლოცვა და არც სხვა საეკლესიო წესები არა აქვთ.

ბრიუსელში გამოდის ახლა ერთი გაზეთი, რომელიც განსაკუთრებით მღვანელებისა და ლატინიგელებისთვის არის დანიშნული. ამ გაზეთის დანიშნულება ის არის, რომ ჩაუნერგოს ამ მერსალისთან შეერთებულ ხალხებს მერსალისის სიძულვილი და გამოიკლიოს ღვინის-ძივბა, რომლითაც იმათ ხელახლა საფრანგეთთან შეერთება მოახერხონ.

მართა გამოჩენილა იტალიის პროფესორმა ამას წინეთ მილანში წაიკითხა ლექცია „ქალების შრომაზე“. ჩვენ ვაცნობთ მკითხველს, რომამ ქალაქში სამმა ქალმა გამართა უმაღლესი საქალბო სასწავლებელი. ეს ლექცია ამ სასწავლებელში იყო წაიკითხული და მამე აუარებელი ხალხი დასწრებია.